186
1929. 6. II

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
Ს-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. სექტემბრის 12 № 4 ნაწილი მეორე

## შინაარსი:

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.**

13. დადგენილება—1929 წ. შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მთავრობის რწმუნებულის დანიშვნის შესახებ.

**შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.**

14. ინსტრუქცია-ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, დანაშაულით მონაპოვარი ნივთების და ისეთი ჩამორთმეული ნივთების მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის, რომელთაც კონფისკაცია უნდა ექნას.

**იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.**

15. ნიხრი—სასამართლოს აღმასრულებელთა გასამრჯელოსი სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა, აგრეთვე სანოტარო კანტორების აღსრულების წარწერათა შესრულებისათვის.

16. დადგენილება—სასამართლო აღმასრულებელთა გასამრჯელოს ნიხრის მე-16 მუხლის შეცვლის შესახებ.

**ა/კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის განკარგულებანი.**

17. დადგენილება—კეროსინზე ფასებისა და საზღვრითი ზედნართის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი

## 13. დადგენილება

**1929 წ. შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მთავრობის რწმუნებულის დანიშვნის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1929 წლის შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მთავრობის რწმუნებულად დაინიშნოს ამხ. ს. ჯუღელი, ხოლო მის მოადგილედ ამხ. დ. რასულ-ზადე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ივნისის 4.
ტფილისი—სასახლე.

---

# შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების განკარგულებანი

## 14. ინსტრუქცია შ. ს. კ. № 01221 / ი. ს. კ. № 108

**ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების, დანაშაულით მონაპოვარი ნივთების და ისეთი ჩამორთმეული ნივთების მიღებისა, შენახვისა და ჩაბარებისათვის, რომელთაც კონფისკაცია უნდა ექნას.**

1. ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება ყველა ის საგანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის იარაღად იყო გამოყენებული და რომელსაც შერჩა დანაშაულის კვალი, ან რომელიც თვით იყო დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტი, აგრეთვე ყველა სხვა საგანი და დოკუმენტი, რითაც შეიძლება დანაშაულის გამოაშკარავება და დამნაშავის აღმოჩენა.

2. დანაშაულით მოპოებულ ნივთად ჩაითვლება ისეთი საგანი, რომელიც წაღებულია კანონიერი მფლობელისაგან დანაშაულის საშუალებით, ვის განკარგულებაშიაც არ უნდა იყოს იგი.

3. კონფისკაცია-საქმნელ ნივთად ჩაითვლება ისეთი საგანი, რომლის შენახვა საზოგადოდ ან სპეციალური ნებართვის გარეშე, იმ პირის მიერ, ვის ხელშიაც ეს ნივთი არის, მომქმედი კანონებით აკრძალულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



4. უკეთუ გაჩხრეკის, დათვალიერების ან ამორკვევის დროს ვისმე აღმოაჩნდება 1-3 მუხლში აღნიშნული საგნები, მას, გამჩხრეკი, დამთვალიერებელი ან ამომრკვევი პირის განკარგულებით, ეს საგნები ჩამოერთმევა და ამის შესახებ ადგილზევე შესდგება ოქმი, რომელსაც, გარდა იმ პირისა, ვინც აღნიშნული საგნები ჩამოართვა, ხელს მოაწერს ორი თანამოწმე, სახლის სამოურაოს წარმომადგენელი და აგრეთვე ისიც, ვისაც საგნები ჩამოერთვა. ოქმში ზუსტად უნდა აღინიშნოს, სად, რა და რამდენი საგანია ჩამორთმეული, და ამ საგნების ნიშნები. თუ ბევრი საგანი იქნება ჩამორთმეული, შედგენილ უნდა იქნეს განსაკუთრებული აღწერილობა. ოქმის და აღწერილობის ასლები ჩაბარდება ნივთების პატრონს.

5. გაჩხრეკის, დათვალიერების ან ამორკვევის დროს ჩამორთმეულ საგნებს დაუყოვნებლივ დაბეჭდავს ჩამომრთმევი პირი. ამასთანავე ბეჭედი ისე უნდა დაისვას, რომ არ შეიძლებოდეს დაბეჭდილი ნივთის შეცვლა სხვა ნივთად.

6. თუ დანაშაულით მოპოებული საგანი ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება, იგი უნდა დაუბრკოლებლივ დაებრუნოს პატრონს თანახმად მისი თხოვნისა; განკარგულებას ამ საგნის დაბრუნების შესახებ გასცემს ის ორგანო (სასამართლო, საგამომძიებლო ან მილიციის ორგანო), ვის ხელშიაც ეს საგანია.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებიც შეიძლება დაებრუნოს მის პატრონს, თუ კი ეს უკანასკნელი ამას ითხოვს, მაგრამ დაბრუნება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საზიანო არ იქნება საქმის წარმოებისათვის, და თანაც მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ეს საგნები ზედმიწევნით იქნება დათვალიერებული და შედგენილ იქნება სათანადო ოქმი.

ამა მუხლში აღნიშნული ნივთების მიღებისას მათი პატრონი იძლევა სათანადო ხელწერილს, რომელიც შეინახება საქმეში.

7. აქციზგადაუხდელი საგნები და მათი დამზადების იარაღი დაიბეჭდება და ჩაბარდება შესანახად, შენახვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებით, ან იმ საწარმოს პატრონს, სადაც სააქციზო წესების დარღვევაა აღმოჩენილი ან იმ უახლოესი საწარმოს გამგეს, სადაც ამგვარი საგნები მზადდება ან ბითუმად იყიდება; თუ შეუძლებელი იქნება აღნიშნულ პირთათვის აღმოჩენილი საგნების გადაცემა, ეს საგნები შესანახად გადაეცემა მილიციის ორგანოებს. (ს.ს.რ.კ-ის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილება—სსრკ-ის კან. კრებ. 1925 წ. № 75, მუხ. 564).

8. ტყის თვითღირებული გაჩეხვის დროს ჩამორთმეული მერქანი და ხეტყე გადაეცემა იმ სატყეოს, რომლის ფარგლებშიაც აღნიშნული მასალა იყო აღმოჩენილი (ა/კ. სფსრ სახ. კომ. საბჭოს 1929 წ. თებერვლის 14-ს დადგენილება № 105—ა/კ. სფსრ კან. კრებ. 1929 წ. № 4 მუხ. 31).

9. თუ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და გაჩხრეკის, დათვალიერების და ამორკვევის დროს ჩამორთმეული საგნები მალე ფუჭდება, იგინი დაუყოვნებლივ უნდა იქნენ დათვალიერებული, შეფასებული და განაღდებული, ამასთანავე მათი განაღდება მოხდება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ისეთი კონფისკაციაქმნილი, ბეითალმანი და უპატრონო ქონების განაღდებისათვის შემოღებული წესით, რაც მალე ფუჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განაღდებით მიღებული თანხა შეიტანება სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ დაწესებულებაში და ჩაირიცხება სათანადო ორგანოს დეპოზიტად შესაფერ ინსტანციაში საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

ისეთი აქციზგადაუხდელი საგნების და პროდუქტების გაყიდვით მიღებული თანხები, რაც მალე ფუჭდება, ჩაირიცხება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დეპოზიტად ან დეპოზიტად ამ კომისარიატის რწმუნებულისა აფხაზეთის სსრ-ში, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, კუთვნილებისამებრ (სსრკ-რის ცაკის და სახკომსაბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილება—სსრკ კან. კრებ. 1925 წ. № 75, მუხ. 564).

10. გაჩხრეკის, დათვალიერების და ამორკვევის დროს ჩამორთმეული ვადიანი ფასიანი ქაღალდების შენახვა და განაღდება მოხდება ამა მუხლისათვის დართული წესების მიხედვით.

11. ყველა დანარჩენ საგანს, რაც ჩამორთმეულ იქნება გაჩხრეკისა, დათვალიერებისა და ამორკვევის დროს, შეინახავს ის ორგანო, ვის ხელში თვით საქმეა, ხოლო, თუ აღნიშნული საგანი იმდენად დიდია, ძვირფასი და სხვ., რომ მის შესანახად განსაკუთრებული საცავია საჭირო, იგი გადაეცემა შესანახად მილიციას, სახელმწიფო ბანკს, სასოფლო-სამეურნეო ბანკს ან ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროს. საწარმოო იარაღი და ოთხფეხა საქონელი შეიძლება გადაეცეს შესანახად მის პატრონს. ამ გადაცემის შესახებ საქმეში უნდა იყოს სპეციალური დადგენილება და ჩაბარების გამამართლებელი დოკუმენტი.

12. ყოველ სასამართლო, საგამომძიებლო ან მილიციის ორგანოს უნდა სპეციალური ზონარგაყრილი დავთარი ჰქონდეს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების და სხვა იმ საგნების ჩასაწერად, რაც ჩამორთმეული იქნება გაჩხრეკისა, დათვალიერებისა და ამორკვევის დროს და გადაიცემა ამ ორგანოს განკარგულებაში.

13. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და სხვა ჩამორთმეული საგნები ინახებიან თვითეულ აქტზე ცალ-ცალკე; ყოველ საგანს უნდა წაეწეროს მისი სახელწოდება და ნომერი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დავთრით, ხოლო ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებს სასამართლო და საგამომძიებლო საქმეზე, გარდა ამისა, უნდა წაეწეროს საქმის ნომერი და სახელწოდება.

ფულის ნიშნები უნდა ინახებოდეს დაბეჭდილ ფულის ყუთში, პაკეტით, რომელსაც უნდა ჰქონდეს ზემოაღნიშნული წარწერა; ფულის ნიშნები, თუ იგი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთია, ჩაიწერება დავთრებში არა საერთო ჯამით, არამედ თითო ნიშანი ცალ-ცალკე, და ამასთან დაწვრილებით აღინიშნება მისი ღირსება, ვალიუტა, სერია, ნომერი და სხვ..

**შენიშვნა.** ისეთი ფულის ნიშნები, რაც ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს, არავითარ შემთხვევაში საფულე ჟურნალში არ ჩაიწერება, რადგან არ შეიძლება ამ ფულის ჩამოწერა გასავალში.

14. საქმის სხვა სასამართლო, საგამომძიებლო ან მილიციის ორგანოსათვის გადაცემასთან ერთად გადაცემულ უნდა იქნეს ყველა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი და სხვა ჩამორთმეული საგანი, თუ იგი არ არის ჩაბარებული საცავში ამა ინსტრუქციის მე-11 მუხლის წესით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოირკვეს, მოიპოვება თუ არა საქმეში სწორი ცნობები და დოკუმენტები, საიდანაც შეიძლება იმის გაგება, თუ როდის, სად და რა ქვითარით გადაიცა აღნიშნული საგნები შესანახად, ყოველი გადაცემის შესახებ უნდა შესდგეს სპეციალური დადგენილება.

15. თუ სხვა რომელიმე ორგანოსაგან გადმოგზავნილი საგნების მიღების დროს საჭირო იქნება განსაკუთრებული რამ გარემოების აღნიშვნა, შედგენილ უნდა იქნეს მიღების აქტი, ამასთანავე ყველა ნივთიერი საბუთი და სხვა საგანი, რაც კი განსაკუთრებულ საცავში ინახება, დათვალიერებულ უნდა იქნენ ბეჭედის მოხსნით, რის შემდეგ მათ ხელახლად დაასვამს ბეჭედს მიმღები ორგანო. ეს უკანასკნელი ამავე დროს ვალდებულია შეიტანოს მიღებული საგნები სათანადო დავთარში ზემომოყვანილი მუხლებში გათვალისწინებული წესით.

16. სახალხო სასამართლოები და გამომძიებლების განკარგულებაში გადაცემული ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების რევიზიას მოახდენს იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ საამისოდ უფლება აღჭურვილი პირი. რევიზიის მოხდენა უნდა ეცნობოს საპროკურორო ზედამხედველობასაც, რომლის წარმომადგენელიც აგრეთვე მონაწილეობას ღებულობს რევიზიაში.

17. იმ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების და სხვა ჩამორთმეული საგნების რევიზიას, რაც მილიციაში ინახება, მოახდენს ყოველ თვეს განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დანიშნავს საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი. ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არის, სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსი. ამ კომისიაში საპროკურორო ზედამხედველობის წარმომადგენელის მონაწილეობა სავალდებულოა.

აღნიშნული კომისია შეადგენს რევიზიის აქტს, სადაც აღნიშნავს რევიზიის შედეგებს და, გარდა ამისა, სათანადო შენიშვნებს შეიტანს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების დავთარში.

18. როდესაც საქმე დამთავრდება და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა საგანი საჭირო აღარ იქნება, ამ საბუთებიდან და საგნებიდან ა) დანაშაულის იარაღს, ბრუნვიდან გამორიცხულ საგანს და იმ საგანს, რომელიც პატრონს არ უნდა დაებრუნოს, უნდა ექნას კონფისკაცია; ბ) ყველა დანარჩენი ნივთი შეიძლება დაუბრუნდეს პატრონს მისივე განცხადებით, ამასთან პატრონი იძლევა ხელწერილს მასში, რომ მან ნივთი მიიღო; გ) ისეთი საგნების გაყიდვით მიღებული ფული, რაც მალე ფუჭდება (მე-9 მუხ. მე-2 ნაწ.), ჩაირიცხება ხაზინის შემოსავლად ან გადაეცემა საგნის პატრონს იმ შემთხვევაში, თუ ცნობილ იქნება, რომ აღნიშნული საგნის კონფისკაცია არ შეიძლება; დ) ისეთი აქციზგადაუხდელი საგნების გაყიდვით მიღებულ თანხიდან, რაც მალე ფუჭდება (მე-9 მუხ. მე-3 ნაწ.), თუ ამასთან ამ საგნის პატრონი დამნაშავედ იქნება ცნობილი, 50% ჩაირიცხება ხაზინის შემოსავლად, ხოლო 50% გადაეცემა აღმომჩენელს, განმცხადებელს და დამჭერს. (თუ რომ აღნიშნული თანხა ერთ მანეთს არ აღემატება, იგი მთლად ხაზინის შემოსავლად ჩაირიცხება) (ს.ს.რ.კ-რის ცაკის და სახ. კომ. საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილება—კან. კრებ. 1925 წ. № 76, მუხ. 564); ე) ტყის თვითნებობით გაჩეხვის დროს ჩამორთმეული მერქანის და ხე-ტყის გაყიდვით აღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ თანხიდან 30% მიეცემა ჯილდოდ ტყის მცველებს და მილიციას, ხოლო 70% ჩაირიცხება ხაზინაში, აქედან 40% ადგილობრივ ბიუჯეტში (ა/კ. სფსრ-კის ცაკის 1927 წ. ივნისის 11-ის დადგენილება—კან. კრებ. 1927 წ. № 11, მუხ. 136).

19. ყველა კონფისკაციაქმნილი და უპატრონოდ ცნობილი ნივთი უნდა წარიმართოს იმ წესით, რაც კანონით შემოღებულია კონფისკაციაქმნილი, ბეითალმანი და უპატრონო ქონების გამოყენებისათვის (სსრკ-ის ცაკის და სახ. კომ. საბჭოს 1927 წ. მაისის 28-ის დადგენილება—კან. კრებ. 1927 წ. № 32, მუხ. 323) და მის განსავითარებლად გამოცემული წესებით. ამასთანავე დანაშაულის ჩადენის ის იარაღი, რაც ჩამოთვლილია ამა მუხლის დანართში, უნდა უსასყიდლოდ გადაეცეს სამხედრო მილიციის მუზეუმს აღნიშნულ დანართში გათვალისწინებულ წესით.

20. ის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და სხვა საგნები, რის მოსპობაც საჭიროდ არის ცნობილი, მოისპობა განსაკუთრებული საუწყებო კომისიების მიერ ან სხვა უწყების სათანადო ორგანოთა მეშვეობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსპობას მეთვალყურეობას უწევს იმ ორგანოს მიერ საამისოდ მივლინებული წარმომადგენელი, რომელმაც დაადგინა აღნიშნული საბუთების და საგნების მოსპობა. მოსპობა სათანადოდ აღინიშნება საქმეში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ბერაძე.

იუსტიციის სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი.

1929 წ. მაისის 3.
ტფილისი—სასახლე.

ინსტრუქციის მე-10 მუხლის დანართი.

## წ ე ს ე ბ ი

### ჩამორთმეული ვადიანი ფასიანი ქაღალდების შენახვის და რეალიზაციის.

1. ყველა ინსტრუქციის მე-4 მუხლის თანახმად, ჩამორთმეული ვადიანი ფასიანი ქაღალდი, აგრეთვე პროცენტიანი ქაღალდი და მომგებიანი სესხი, თუ მათი დაუყოვნებლივ დაბრუნება პატრონისათვის არ შეიძლება (სისხ. სამ. კოდ. 67 მუხ.) და თუ მათი რეალიზაცია არ უნდა მოხდეს საქმის წარმოების ადგილასვე, უნდა გადაეცეს: სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა მიერ—იუსტიციის სახალხო კომისარიატის საფინანსო ნაწილს, ხოლო მილიციის ორგანოთა მიერ—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილებას, იქ კი, სადაც ასეთი არ იქნება—მილიციის სამაზრო სამართველოს, რომელნიც თავის მხრივ, ვალდებული არიან გადასცენ აღნიშნული ქაღალდები ფინანსთა სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს შესანახად.

2. საქმეში დატოვებული უნდა იქნეს ამ ფასიანი ქაღალდების დაწვრილებითი აღწერილობა, რომელშიც აღინიშნება ყველა ქაღალდის ნომერი, სერია, ნომინალური ფასი და კუპონების რიცხვი. აღწერილობის ასლი უნდა ინახებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს იუსტიციის სახ. კომისარიატის საფინანსო ნაწილში, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილებასა ან სამაზრო მილიციის სამმართველოში, კუთვნილისამებრ.

3. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კი ზემოაღნიშნული ფასიანი ქაღალდი არ წარმოადგენს ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით (მაგალითად, თუ აღძრული არ არის საკითხი ამ ქაღალდის სიყალბის შესახებ ან თუ ქაღალდზე რაიმე ისეთი ნიშანი, წარწერა, ანაბეჭდი და სხვა იმგვარი რამ არ არის, რასაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს და სხვ.), ორგანომ, რომელიც საქმეს აწარმოებს, უნდა მისცეს განკარგულება მე-2 მუხ. აღნიშნულ ორგანოს ამ დოკუმენტების თავის დროზე წარდგენისა, კუპონებით ფულის ან იმ მოგების მიღების შესახებ, რაც ფასიან ქაღალდს ხვდება და სხვა.

4. აღნიშნულ განკარგულებას პროკურატურის და სასამართლო ორგანო გასცემს უშუალოდ. მოკვლევის და გამოძიების ორგანოებმა სათანადო შემთხვევაში (შესაფერი ცნობით) უნდა მიმართონ პროკურორს ან სასამართლოს.

5. კერძო ხასიათის ვადიანი ფასიანი ქაღალდი მაგ. თამასუქი—საპროტესტოდ ან სხვა ქაღალდი—აღსრულების წარწერის გასაკეთებლად, სარჩელის აღსაძრავად და სხვ. შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ მისი პატრონის თხოვნით.

**შენიშვნა.** თამასუქზე ხელმონაწერის სიყალბის შესახებ საკითხის აღძვრა ვერ შეაფერხებს თამასუქის წარდგენას საპროტესტოდ.

6. ყოველი მოქმედება, რაც კი შესრულებულ იქნა ამა დანართის მე-4 მუხლში გათვალისწინებულ განკარგულებათა შესასრულებლად, მე-2 მუხლში აღნიშნულმა ორგანომ უნდა აცნობოს იმ ორგანოს, რომელიც საქმეს აწარმოებს.

7. ყველა დადგენილება და განაჩენი, რაც კი აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს შეეხება, უნდა სავსებით შეეხებოდეს ამ ქაღალდების რეალიზაციით, აგრეთვე კუპონებით, მოგებით და სხვ. მიღებულ თანხებსაც.

<u>ინსტრუქციის მე-19 მუხლის დანართი.</u>

**სამძებრო მილიციის მუზეუმისათვის გადასაცემი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები.**

1. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილებასთან არსებულ სამძებრო მილიციის მუზეუმს უნდა გადაეცეს, საჭიროების განვლისას, შემდეგი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები:

ა) ისეთი საგნები, რომლებიც მოწმობენ დამნაშავეთა ტეხნიკურ დახელოვნებას, მაგალითად:

1) იარაღი, რომელსაც სპეციალურად კლიტის, კედლის, კარის, ჭერის, ცეცხლის გამძლე და სხვა კასების გასატეხად ხმარობენ;

2) ხელსაწყო და ისეთი ცალკე ინსტრუმენტები, რომელთაც უნივერსალური გასაღებების, ან განსაკუთრებული კონსტრუქციის მაშების ხასიათი აქვთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) ხელსაწყო ბარგის მოსაპარავად, ჯიბის, ჩანთის და კალათის ჩამოსაჭრელად;

4) ყველაზე უფრო მოხერხებული იარაღი მკვლელობისათვის: სტილეტი, კასტეტი და ადგილობრივი ფორმის დანა;

5) ხელსაწყო ყოველგვარი ყალბი ბეჭდის, პლომბის, შტამპის დასამზადებლად და ფალსიფიკატები (ფალსიფიკაციაქმნილი საგნები);

6) თაღლითობის ხელსაწყო, როგორიც არის ფართლეულობის ყალბი თოფები, ქაღალდის ყალბი ხვეული და ლითონის ფულის ყალბი ხვეული (კუკლები), მისაგდები ქისა, ყალბი რამ ძვირფასეულობა;

7) სპირტის გამოსახდელი აპარატი იმდენად საუკეთესო კონსტრუქციისა, რომ გაჩხრეკის დროს იგი შეუმჩნეველი რჩება;

8) ხელსაწყო კონტრაბანდის გასატარებლად.

ბ) საგნები, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის გამოაშკარავებას:

1) დანაშაულის ჩადენის ადგილის, დამნაშავის, დანაშაულის მსხვერპლის და კვალის ფოტოგრაფიული სურათები;

2) ექსპერტიზის თვალსაჩინო შედეგები, ანასახის, ტვიფარის ან ნახატის სახით: მაგ., დოკუმენტების, თითების ანაბეჭდი, ფეხის, ეტლის, პირუტყვის კვალი და სხვ.;

გ) დამნაშავეთა წრის დამახასიათებელი საგნები:

1) ტანის დაღმით აჭრელების, ნახატების, ლექსების და სხვ. ნიმუშები;

2) შიფრების და შეპირებული ნიშნების და ყალბი ხელმონაწერის ნიმუშები.

2. ვინაიდან სისხლის სამართლის სამუზეუმო საგნების მეცნიერული დამუშავებისათვის საჭიროა საქმის გარემოების ცოდნა, ამიტომ ამ საგნებთან ერთად უნდა გაიგზავნოს საქმის ან სასამართლოს განაჩენის სათანადო ამონაწერი, რომლის მიხედვით შეიძლება გამოირკვეს აღნიშნული საგნების დანიშნულება.

3. თუ სამძებრო მუზეუმში საგნების გადაგზავნა გამოიწვევს ხარჯს სასამართლო და სხვა ორგანოს ეს უნდა მხოლოდ აცნობოს მუზეუმს, რომელსაც შეუძლიან აღნიშნული საგნები თავისი ხარჯით გადაიტანოს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბერაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი.**

1929 წლ. მაისის 3.

ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების განკარგულებანი

## 15. ნიხრი

**სასამართლოს აღმასრულებელთა გასამრჯელოსი სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა, აგრეთვე სანოტარო კანტორების აღსრულების წარწერათა შესრულებისათვის.**

(გამოცემულია საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების დებულების 55 მუხლის თანახმად).

1. სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა, სანოტარო კანტორის აღსრულების წარწერათა და, საერთოდ, ყველა იმ მოქმედების შესრულებისათვის, რაც გათვალისწინებულია სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 255 მუხლით, გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი გამოსაღები:

ა) გადამხდევინებლის განცხადებით გადასახდევინებელ თანხაზე, თუ ეს თანხა 10 მან.—100 მანეთამდეა—40 კ.;

ბ) 100 მან.—1000 მანეთამდე ყოველი სრული და არასრული 100 მანეთისათვის—1 მანეთი;

გ) თუ გადასახდევინებელი თანხა 1000 მანეთს აღემატება, თვითეული (თუნდაც არა სრული) 500 მანეთისათვის—5 მანეთი.

**შენიშვნა.** თუ იმ ქონების ფასი, რომელზედაც გადახდევინება მიქცეულია, გამოირკვევა გადახდევინების მიქცევის მომენტში და იგი გადასახდევინებელ თანხაზე აშკარად ნაკლებია (მაგ., 1000 მანეთის გადახდევინება მიქცეულია 100 მანეთზე, რომელიც ერგება მოვალეს მესამე პირისაგან, ან და ისეთ ქონებაზე, რომელიც უკვე აღწერილია და 200 მანეთად არის შეფასებული), ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გამოანგარიშება იმ ქონების ფასის მიხედვით, რომელზედაცაა მიქცეული გადახდევინება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს გამოსაღები არ შეიძლება 40 კაპიკზე ნაკლები იყოს.

2. მოვალის ქონების აღწერისათვის, 1 მუხლით გათვალისწინებული გამოსაღების გარდა, გადახდილ უნდა იქნეს დამატებით შემდეგი გამოსაღები:

ა) თუ ის თანხა, რამდენადაც შეფასებულია აღწერილი ქონება, 10 მანეთიდან—100 მანეთამდეა—60 კაპ.;

ბ) თუ აღნიშნული თანხა 100 მან.—1000 მანეთამდეა, ყოველი სრული და არა სრული 100 მანეთისათვის—1 მან. და 60 კაპ.;

გ) თუ თანხა 1000 მანეთს აღემატება, ყოველი 500 (თუნდაც არა სრული) მანეთისათვის—8 მანეთი.

3. თუ ის თანხა, რომლითაც აღწერილი ქონება შეფასებულია, გადახდევინებულ თანხას არ აღემატება, მე-2 მუხლში გათვალისწინებული გამოსაღები გამოიანგარიშება ამ თანხის მიხედვით, ხოლო, თუ შეფასების თანხა გადასახდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინებელ თანხას აღემატება, აღნიშნული გამოსაღები გამოიანგარიშება გადასახდევინებელი თანხის მიხედვით.

4. საჯარო ვაჭრობის წარმოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს ცალკე გამოსაღები 2 მუხლში გათვალისწინებული რაოდენობით, ქონების გაყიდვით მიღებული თანხის მიხედვით. უკეთუ სასამართლოს აღმასრულებელი საჯარო ვაჭრობის ადგილას გამოცხადდა, ხოლო ვაჭრობა არ შესდგა, გადახდება 1 მან.

5. აღწერის მოხდენისათვის, რაც საჭიროა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გამოტანილი დადგენილების შესასრულებლად, გადახდილ უნდა იქნეს გამოსაღები მე-2 მუხლში გათვალისწინებული წესით, უზრუნველყოფილი თანხის მიხედვით.

ისეთი ღონისძიებისათვის, რაც მიღებულ იქნება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დადგენილების შესასრულებლად, თუ ეს ღონისძიება დაკავშირებული არაა ქონების აღწერასთან, გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს 1 მუხლში გათვალისწინებული რაოდენობით, უზრუნველყოფილი თანხის მიხედვით.

**შენიშვნა.** ისეთ საქმეზე, რომელზედაც მოსარჩლენი, სამ. სამ. საპრ. კოდ. 44 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტ. თანახმად, განთავისუფლებული არიან სასამართლოს ბაჟისაგან, ამა მუხლში გათვალისწინებული გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება დანიშნულ საქმეზე სისრულეში მოიყვანება 15 მუხ. 3 ნაწილის წესისამებრ. ამასთან, თუ მისჯილი თანხა უზრუნველყოფილ თანხაზე ნაკლებია, გამოსაღები გამოიანგარიშება მისჯილ თანხის მიხედვით.

6. უკეთუ გამოსაღები სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიებისათვის გადახდილია და ამის შემდეგ სისრულეში მოჰყავთ გადაწყვეტილება იმავე საქმეზე, რომელზედაც სარჩელი უზრუნველყოფილია, 2 მუხლით გათვალისწინებული გამოსაღების გადახდა საჭირო არ არის.

7. სამკვიდრო ქონების დასაცავათ სასამართლოს აღმასრულებლის მიერ ღონისძიების მიღებისათვის გამოსაღები გადახდილ უნდა იქნეს 2 მუხლის თანახმად.

8. იძულებითი გამოსახლებისათვის: ა) არა საცხოვრებელი სადგომებიდან, სახელოსნოებიდან, სავაჭრო, საქარხნო და სხვ. სადგომებიდან—გადახდილ უნდა იქნეს ხუთი მანეთი, ამასთან თუ გამოსახლებას ერთ დღეზე მეტი დასჭირდება თვითეული დღისათვის გადახდილ იქნება ცალკე გამოსაღები, ბ) საცხოვრებელ სადგომებიდან (ოთახიდან, ბინიდან, მათი კუთვნილი სარდაფიდან, საკუჭნაოდან, სარაიდან და სხვ.) გამოსახლებისათვის—თითო მანეთი თითო ოთახში, სარაიაში და სხვ.

თუ სასამართლოს აღმსრულებელი გამოცხადდება გამოსახლების ადგილას, მაგრამ გამოსახლება არ შესდგება, გადახდილ უნდა იქნეს 1 მანეთი.

9. სასამართლოს ისეთ დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რაც დაკავშირებული არაა ფულის გადახდევინებასთან (მაგ. შკაფის ან მაგიდის გადაცემა), გადახდილ უნდა იქნეს გამოსაღები—ერთი მანეთი.

10. გამოსაღების გადახდა საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც სისრულეში მოჰყავთ გამომძიებლის განკარგულება, გაცემული სისხ. სამ. საპრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდ. $121^{1}$ მუხლის თანახმად, ან და სასამართლოს გადაწყვეტილება ისეთ სარჩელზე, რომლის ფასი 10 მანეთზე ნაკლებია.

11. სასამართლოს აღმასრულებლის მიერ აღწერილობისა ან სხვა რამ საქმის საწარმოებლო ქაღალდის ასლის გაცემისათვის გადახდილ უნდა იქნეს 20 კაპ. თვითეულ გვერდში, ამასთან გვერდათ ჩაითვლება 35 სტრიქონი.

12. როდესაც სააღსრულებლო მოქმედება უნდა იმ ადგილის გარეშე მოხდეს, სადაც სასამართლოს აღმასრულებელი იმყოფება, ნიხრით გათვალისწინებული გამოსაღების გარდა გადახდილ უნდა იქნეს ის ხარჯები, რასაც ნამდვილად გასწევს აღმასრულებელი გამგზავრებასა და უკან დაბრუნებაზე—მიმოსვლის ყველაზე უფრო იაფი საშუალებით (ტრამვაი, ავტობუსი, კონკა, ცხენი და სხვ.).

13. ის თანხა, რაც საჭიროა გაყიდვის შესახებ პუბლიკაციის მოსახდენათ და ქონების შეფასების დროს მცოდნე პირების მოსაწვევად, აგრეთვე მუშაკლის დასაქირავებლად ან ქონების შემნახველისათვის გასამრჯელოს მისაცემად, გადამხდევინებელმა უნდა წინდაწინ შეიტანოს, ამ თანხას გამოიანგარიშებს სასამართლოს აღმასრულებელი იმისდა მიხედვით, თუ ნამდვილად რამდენი იქნება საჭირო, ხოლო გასამრჯელო ქონების შემნახველისათვის გამოიანგარიშება დაწესებული ნიხრის მიხედვით.

14. ყველა ის გამოსაღები, რაც კი გათვალისწინებულია 1, 5, 7, 8 და 9 მუხლით, აგრეთვე 11 მუხლით გათვალისწინებული სამგზავრო ხარჯები უნდა გადახდეს გადამხდევინებელს სასამართლოს აღმასრულებლისათვის აღსრულებლის ფურცლის, სანოტარო კანტორის აღსრულების წარწერის და სხვ. წარდგენისთანავე, ხოლო 2 და 4 მუხლებით გათვალისწინებული გამოსაღები უნდა გადახდეს მოვალეს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის დროს.

15. სამ. სამ. საპრ. კოდ. 317 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც აღწერილ ქონებაზე გადამხდევინებლის თხოვნით გადახდევინება არ მიიქცევა,—2 მუხლით გათვალისწინებულ გამოსაღებს იხდის გადამხდევინებელი.

სახელმწიფო დაწესებულებანი და სასამართლოს ბაჟისაგან განთავისუფლებული სხვა საწარმო-დაწესებულებანი, სასამართლოს აღმასრულებლის გასამრჯელოსათვის იხდიან მხოლოდ იმ გამოსაღების 25%, რაც ამა ნიხრითაა გათვალისწინებული.

გამოსაღებს ისეთ საქმეზე, რომელზედაც გადამხდევინებლები, სამ. სამ. საპრ. კოდ. 44 მუხ. „დ“ და „ე“ პუნქტების თანახმად, განთავისუფლებული არიან სასამართლოს ბაჟისაგან, აგრეთვე ჯარიმისა და სასამართლოს ბაჟის გადახდევინების დროსაც, სასამართლოს აღმასრულებელი გადაახდევინებს მოვალეს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისთანავე.

**შენიშვნა.** უკეთუ გადახდევინება მიქცეულია კერძო პირზე ისეთ დაწესებულებათა-საწარმოთა სასარგებლოდ, რომლებიც სასამართლო ბაჟს არ იხდიან, ამა ნიხრით გათვალისწინებული გამოსაღები მთლიანად უნდა გადახდეს მოვალეს, ამასთან 25 პროცენტი ხმარდება გადამხდევინებელთა მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო 75 პროცენტი შეიტანება ხაზინაში 16 მუხლის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკეთუ გადახდევინება მიქცეულია ისეთ დაწესებულება-საწარმოზე, რომლებიც განთავისუფლებული არიან სასამართლო ბაჟისაგან, გადამხდევინებლები იხდიან სააღმსრულებლო მოქმედებისათვის მხოლოდ ნორმალური გამოსაღების 25%-ს, მოვალეს კი ასეთ შემთხვევაში გადახდება მხოლოდ გადამხდევინებელთა მიერ გაწეული ხარჯების საზღაური.

16. ნიხრით გათვალისწინებულ გამოსაღებთა შორის თანხის 75 პროცენტი შეიტანება სახელმწიფოს შემოსავლად იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით, ხოლო დანარჩენი 25 პროცენტი მოხმარდება სასამართლოს აღმასრულებელთა გასამრჯელოს, ამასთან გამოსაღების ის ნაწილი, რაც უნდა სახელმწიფოს შემოსავლად ჩაირიცხოს (75%) სასამართლოს აღმასრულებელის მიერ გამოიანგარიშება მასთან ფაქტიურად შემოსულ თვითეულ თანხიდან და შეიტანება კუთვნილებისამებრ.

**შენიშვნა.** თუ სააღმსრულებლო მოქმედებას მილიცია ან თემსაბჭო ასრულებს, გამოსაღების 75 პროცენტი შეიტანებ სახელმწიფოს შემოსავლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით, ხოლო 25 პროცენტი კი მიეცემა გასამრჯელოთ იმ პირს, ვინც გადაწყვეტილება ფაქტიურად მოიყვანა სისრულეში.

17. ამა ნიხრით გათვალისწინებული გამოსაღები და ყველა სააღმსრულებლო ხარჯები გასტუმრებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის დროს მოვალის მიერ პირველად შემოტანილი თანხიდან და დაუბრუნდება გადამხდევინებელს, რომელმაც ეს ხარჯები და გამოსაღები გადაიხადა, ან, სათანადო შემთხვევაში, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავლად ფულის განაწილებამდე სამ. სამ. საპრ. კოდ. 266-266[5] მუხლებისამებრ.

18. ამა ნიხრის გამოცემის შემდეგ გაუქმებულად ჩაითვალოს იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ 1926 წლის აგვისტოს 12-ს დამტკიცებული ნიხრი (1926 წ. № 13-14 „მოამბე“).

31 მაისი 1929 წ. № 108.

საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარი **შ. მათიკაშვილი.**

საქართველოს სსრ ფინანსთა სახ. კომისრის მაგ. **მეხხი.**

---

## 16. დადგენილება

### იუსტიციის და ფინანსთა სახ. კომისარიატებისა სასამართლო აღმასრულებელთა გასამრჯელოს ნიხრის 16 მუხ. შეცვლის შესახებ.

იუსტიციის და ფინანსთა სახ. კომისარიატები სასამართლოს წყობილების დებულების 55 მუხლის საფუძველზე ადგენენ: სასამართლოს აღმასრულებელთათვის, სასამართლოს გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა, აგრეთვე სანოტარო კანტორების აღსრულების წარწერათა შესრულებისათვის დაწესებული გასამრჯელოს ნიხრის 16 მუხლი დაიწეროს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუხ. 16. ნიხრის მიხედვით აღებული გამოსაღების თანხის 25% გადაიდება სასამართლოს აღმასრულებელთა სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი 75%, იმ ორ-განოთა სასამართლო დადგენილებების შესრულებისას, რომელნიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან, შეიტანება ადგილობრივ სახსრად (ა/კ. სფსრ კან. კრებ. № 16, მუხ. 192), სხვა საქმეებზე კი შეიტანება ხაზინის შემოსავლად იუს-ტიციის სახ. კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით, ამასთან ეს 75% სასამართლოს აღმასრულებელის მიერ გამოანგარიშება მასთან ფაქტიურად შემოსულ თვითეულ თანხიდან და შეიტანება კუთვნილებისამებრ.

იუსტიციის სახ. კომისარი გ. სტურუა.

ფინანსთა სახ. კომისარი მაგ. მეხხი.

1929 წ. აგვისტოს 27.

---

# ამიერკავკასიის ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის განკარგულებანი

## 17. დადგენილება № 29

ა/კ ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში.

22 ივლისი 1929 წ.

შესაცვლელად ა/კ ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა. წ. მარტის 17 დადგენილების № 22 § 6 „კეროსინზე ფასებისა და საზღვრითი ზედნართის და-წესების შესახებ“.

თანახმად მუხ. 6 13-პ. „მ“-სა ა/კ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტე-ტის დადგენილების ა/კ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულე-ბის შესახებ“, ა/კ ვაჭსახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

ა/კ ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა. წ. მარტის 17 დადგენილების № 22 § მე-6 „კეროსინზე ფასებისა და საზღვრითი ზედნართის დაწესების შესა-ხებ“ შეიცვალოს შემდეგნაირად.

დაწესებულ იქნეს შემდეგი საცალო ფასები კეროსინზე კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ცალობით გაყიდვის დროს, ქ. ტფილისსა და რკინისგზის სადგურებზე:

| ქ. ტფილისი | ერთი ლიტრი |
|---|---|
| ა) სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანი-ზაციების საწყობებში . . . . . . . . . . . | 7 კაპ. |
| ბ) კასრებიდან, ქუჩებში და მოედნებზე ჩამო-ტარებით . . . . . . . . . . . . . . . | 8 კაპ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთი ლიტრი

გ) მუშკოპის ნავთის დამტარებლებთან ბინაზე მიტანილი . . . . . . . . . . . . . . 9 კაპ.

რკინის გზის სადგურზე.

კოოპერატ. და სახელმწიფო ორგანიზაციების საწყობებში და საცალო სავაჭროებში . . . . . . . . . . . . . . . . . . 8 კაპ.

ა/კ ვაჰსახკომის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში **კობახიძე.**

საქმეთა მმართველი **შარმაზანაშვილი.**

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

მთავლიტი № 1291 დაიბეჭდა 1.000.